№10-11 (9905-06) ◆ ოქტომბერი-ნოემბერი, 2023 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ *გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან*

ანგარიში ჩაბარებული და შეფასებული

ახლახანს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ** 2022 წელს და 2023 წლის 9 თვის მანძილზე განხორციელებული საქმიანობის შესახებ საკმაოდ ვრცელი ანგარიში წარუდგინა საზოგადოებას. მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდს მოხსენებიდან.

ანგარიშის წარდგენას რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული – **პაპუნა მარგველიძე**, საკრებულოს თავმჯდომარე – **ასლან საგანელიძე**, მერის პირველი მოადგილე **დავით გოგლიძე** და სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ითქვა, რომ საანგარიშო პერიოდში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განხორციელდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები და პროგრამები, რომელთა პრიორიტეტული მიმართულებებია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა, მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესება, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება და სხვა.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა 24 323 050 ლარს. მიმდინარე წელს კი ბიუჯეტის მოცულობა 26 111 463 ლარია. შესაბამისად აღნიშნული ფინანსური რესურსი მიზნობრივად გადანაწილდა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე სფეროების მიმართულებით.

ინფრასტრუქტურის განვითარება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, მიმდინარე პერიოდში ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა 26 750 208 ლარი. 2022 წელს განხორციელდა 109 პროექტი. მიმდინარე წელს კი 119.

კერძოდ სოფლებში გაღმა ბარეული, ბაჯი, ხონჭიორი და გორი განხორციელდა წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებზეც 1 200 000 ლარზე მეტი დაიხარჯა. აღსანიშნავია, რომ დღეს უკვე წყალი მიეწოდება ისეთ სოფლებს, რომლებსაც ათწლეულების მანძილზე აწუხებდათ ეს პრობლემა.

გაგრძელება მე-3 გვ.

პოლიციის დეპარტამენტი

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი დამოუკიდებელ ერთეულად გამოეყო. ახლახანს შინაგან საქმეთა მინისტრმა **ვახტანგ გომელაურმა** ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გახსნა ახლადშექმნილი დეპარტამენტისათვის განკუთვნილი შენობა.

მინისტრმა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და უახლესი ინვენტარით აღჭურვილი შენობა პირველ მოადგილესთან – **შალვა ბედოიძესთან**, მოადგილეებთან: **იოსებ ჭელიძესთან, გიორგი ბუთხუზთან, ალექსანდრე დარახველიძესთან** და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაათვალიერა. ღონისძიებას, ასევე დაესწრნენ და პოლიციის ახალი შენობა დაათვალიერეს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა – **პაპუნა მარგველიძემ,** მოადგილეებთან – **ქრისტინა კობახიძესთან, ბერდია ჩანქსელიანთან, ალუდა თითისანთან** ერთად, ასევე მაჟორიტარმა დეპუტატმა – **გოჩა ენუქიძემ**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა – **ზვიად მხეიძემ** და ამბროლაურის საკრებულოს თავმჯდომარემ – **ასლან საგანელიძემ**.

ვახტანგ გომელაურმა თანამშრომლებთან სამუშაო თათბირი გამართა და წარადგინა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი **ლევან დარახველიძე**, რომელსაც ამ დრომდე იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის შექმნის მიზანია შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ საპოლიციო საქმიანობის, დანაშაულის

პრევენციის, რეგიონში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის კიდევ უფრო ეფექტიანად განხორციელება და მოქალაქეებისთვის საპოლიციო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

პოლიციის დეპარტამენტის შექმნის შედეგად რეგიონს 130-მდე საშტატო ერთეული დაემატება. ადგილზე დასაქმებული სამართალდამცველები ოთხივე მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს მოემსახურებიან.

რთველი - 2023

რაჭაში ოქროსფერი შემოდგომაა. წლის მოსავალი ბინავდება. ბარაქა ისადგურებს მშრომელი ადამიანების ოჯახებში. განსაკუთრებულად მევენახე-მეღვინეთა ოჯახებში. ვამაყობთ, რომ სოფლის მეურნეობის მევენახეობა-მეღვინეობის დარგისთვის ქვეყანაში კუთხე უნიკალურ რეგიონადაა მიჩნეული. გამორჩეულად მაინც ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სადაც მზადდება ადგილწარმოშობის ღვინო „ხვანჭკარა“. მიუხედავად იმისა რომ წელს კლიმატური პირობები არ იყო ხელსაყრელი ვაზის სიყვარულს და შრომას სასურველი შედეგი მაინც მოჰყვა. რთველი – 2023 მუნიციპალიტეტში დამთავრდა, რომლის მხარდასაჭერად და რთველის პროცესში კერძო საწარმოებისა და მევენახე ფერმერების სტიმულირებისა და მოსავლის სრულად დაბინავების მიზნით, მთავრობის გადაწყვეტილებით განხორციელდა სახელმწიფო სუბსიდირება. სუბსიდია მიიღო ყველა იმ კომპანიამ, რომელმაც შეიძინა და გადაამუშავა „ხვანჭკარას“ მიკროზონაში მოწეული 3 ტონაზე მეტი „ალექსანდროულისა“ და „მუჯურეთულის“ ჯიშის ყურძენი.

ტრადიციულად, ორგანიზებულად, ყოველგვარი შეფერხების გარეშე წარიმართა „რთველი – 2023“, რაც განაპირობა საკოორდინაციო შტაბის გამართულმა საქმიანობამ, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ლევან მუხუზლას, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირებისა და სხვა წარმომადგენლების ჩართულობამ. იმანაც, რომ ადგილწარმოშობის ღვინო „ხვანჭკარის“ ჯიშობრივი სიზუსტის დაცვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ყურძნის მიმღებ ყველა პუნქტზე ამპელოგრაფები მონიტორინგს უწევდნენ ჩასაბარებელ ყურძენს. ხოლო, რეგიონის შემოსასვლელებში მოწყობილი იყო სპეციალური ბლოკპოსტები, რათა არ მომხდარიყო ჰიბრიდული ყურძნის ჯიშების სხვა მუნიციპალიტეტებიდან შემოტანა მუჯურეთულსა და ალექსანდროულში შესარევად.

აღსანიშნავია, რომ რთველის მიმდინარეობასა და ყურძნის ჩაბარების პროცესს ადგილზე გაეცნო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგია**. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ **პაპუნა მარგველიძესა** და მაჟორიტარ დეპუტატ **გოჩა ენუქიძესთან** ერთად სოფელ ბოსტანაში ეწვია ყურძნის გადამამუშავებელ კომპანიას „მეღვინეობა ბარაკონი“ (საწარმოს მფლობელი კახა გორდეზიანი), რომელმაც ადგილობრივი მევენახეებისაგან შეისყიდა და გადაამუშავა 50 ტონა ყურძენი.

მინისტრმა დავით ციმაკურიძის ოჯახურ რთველშიც მიიღო მონაწილეობა და დაათვალიერა ის ღვინის მარანიც, რომელიც მევენახე ფერმერმა სოფლის მეურნეობის სააგენტოს პროექტის „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმო“ დაფინანსებითა და თანადაფინანსებით გახსნა შპს „საკეციის მარანი“, რომელსაც შეუძლია ყოველწლიურად მიიღოს და გადაამუშაოს 15 ტონა ყურძენი. წელს მარანმა პირველი მოსავალი მიიღო.

„რთველი – 2023“ დამთავრდა. ყურძენი დაბინავებულია. შესყიდულია 1700 ტონა ყურძენი. მევენახეთა შემოსავალი 11,6 მილიონ ლარს აღწევს. რთველში ჩართული იყო 50-მდე კომპანია და მარანი.

ძვირფასო მევენახეებო, თანაკუთხელებო, ბედნიერებაში, ლხინში, ქორწილებსა და ძეობებში მოიხმარეთ წლის მოსავალი. მშვიდობა თქვენს ოჯახებს და სრულიად საქართველოს!

საანგარიშგებო ფორუმი

ამბროლაურის კულტურის ცენტრში გამართული ფორუმი, რომელიც გახსნა ამბროლაურის მერმა **ზვიად მხეიძემ**, ფაქტიურად იმ ფორუმის გაგრძელება იყო, რომელიც ჯერ კიდევ მაისში გაიმართა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჟამინდელი საანგარიშგებო შეხვედრა იყო მოსახლეობასთან.

აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში არსებულ საჭიროებებზე წინა ფორუმზე გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე მომზადდა იდეები და წარდგენილ იქნა რეკომენდაციები მომავალი წლის ბიუჯეტისთვის გასათვალისწინებად. საერთო ჯამში 45 იდეა იქნა რეკომენდაციის სახით შეთავაზებული ადგილობრივი თვითმმართველობისთვის. რომლებიც ეხებოდა ინფრასტრუქტურის, კულტურისა და ხელოვნების, განათლების, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის განვითარებისა და მეწარმეობის, გარემოს დაცვის, თავდაცვის, სოციალური და ჯანდაცვის, სპორტის, ახალგაზრდობის სფეროების განვითარებას. მოსახლეობის მიერ წარდგენილი 45 იდეიდან ყველა მათგანი ნაწილობრივ ან

გაგრძელება მე-3 გვ.

წარმომადგენლობითი ორგანო განიხილავს, მსჯელობს

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს ორმოცდამეათე მორიგმა სხდომამ მოისმინა და შეაფასა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიში 2023 წლის 01 იანვრიდან 01 ოქტომბრამდე განეული საქმიანობის შესახებ.

ანგარიშები დეპუტატებს წარუდგინეს მერიის საფინანსო და სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურების ხელმძღვანელებმა ბეჟან კობახიძემ და ერეკლე დოხნაძემ.

* * *

საკრებულოს სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე სხვადასხვა საკითხები. მათ შორის საუბარი შეეხო რაჭაში სამონადირეო ლიცენზიის თემას. რამდენადაც აღნიშნული საკითხისადმი საზოგადოებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და არის მსჯელობის საგანი ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გაზეთის მკითხველს მივაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

სამონადირეო ლიცენზიისა და დაცული ტერიტორიების საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებთან შეხვედრა, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ორგანიზებით, უკვე გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის მერიაში.

შეხვედრის ფორმატიდან გამომდინარე დასწრება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის იყო შესაძლებელი და უძღვებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლები. შესაბამისად საკითხებით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ კითხვებზე კომპეტენტური პასუხები მიეღოთ აღნიშნული უწყებებისაგან.

შეხვედრაზე ითქვა, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო, რაჭის ეროვნულ პარკთან ერთად, განიხილავს რაჭის ტყეებისთვის და დასახლებული ადგილებისთვის განსაკუთრებით დაცული სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას, რამაც, შესაძლოა, სამონადირეო ლიცენზიის მოქმედების გადახედვა გამოიწვიოს. კონკრეტული სტატუსი განისაზღვრება სპეციალისტების შეფასების, ადგილობრივი თემების და თვითმმართველობის ჩართულობით, მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში.

შეხვედრაზე ისაუბრეს იმ სიკეთეებზეც რაც შესაძლოა დაცული ტერიტორიების დაარსებამ გამოიწვიოს რეგიონში.

* * *

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით კი კომპანიის მიერ რაჭაში, სამონადირეო ლიცენზიის აღებული ვალდებულებები შესრულებული არ არის, ამიტომ გარემოს დაცვის სამინისტრო სამართლებრივ პროცესს იწყებს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს ორმოცდამეთერთმეტე (რიგგარეშე) სხდომამ ცვლილებები შეიტანა საკრებულოს 2022 წლის №27, 2018 წლის №19, 2017 წლის №18 დადგენილებებში და საკრებულოს 2022 წლის №97 განკარგულებაში.

დაამტკიცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შაორის ტბის მიმდებარედ არსებულ ნაკვეთებზე (ს/კ 86.12.25.874; ს/კ 86.12.25.902; ს/კ 86.12.25.686; ს/კ 86.12.32.045) კოტეჯის ტიპის სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის განაშენიანების დეტალური გეგმა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესი. აგრეთვე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დოკუმენტი.

საკრებულომ მხარი დაუჭირა სხდომაზე წარმოდგენილ ყველა სამართლებრივი აქტის პროექტს.

დეპუტატი და ამომრჩეველი

თვითმმართველი თემის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს წევრებად პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით არჩეული წევრებიდან 9 ქალბატონია. მათ შორისაა ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქიდან 44.03. **მაია კაციტაძე**, რომელსაც საკმაოდ რთულ გეოგრაფიულ არეალში უწევს დეპუტატის საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულება. პროფესიიდან გამომდინარე თუ მისთვის ნიკორწმინდისა და კაჩაეთის მაცხოვრებელთა ავანჩავანი ცნობილია, ხონჭიორის, ნამანევის, ზედა შავრისა და თხმორის მოსახლეობის, საყოფაცხოვრებო საჭიროებიდან გამომდინარე, მოთხოვნებში გარკვევა, გათავისება და დახმარების გაწევა ნამდვილად რთულია. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მან ეს შეძლო, რადგან ვისაც კი შევხვდით ყველამ ერთნაირად გაუსვა ხაზი მისი ხასიათის სიმტკიცეს, კომუნიკაბელურობას. საქმის კეთების სურვილს და რაც მთავარია, მერის წარმომადგენელთან **ვასილ ფოფხაძესთან** კოლეგიალურ, შეთანხმებულ საქმიანობას. რაც ვაღიაროთ ბევრისთვის დამახასიათებელი არაა. ორმა ასაკოვანმა ქალბატონმა გაგვიცხადა: აბა რა გითხრათ შვილო, საყვედური არ გვეთქმის. ერთად რაც შეუძლიათ აკეთებენ. სხვა თუ არაფერი მარტო იმისთვის იმსახურებენ დაფასებას ცენტრიდან დაუზარებლად რომ გვიზიდავენ წამლებს თუ სხვა პროდუქტებს.

დეპუტატის და მერის წარმომადგენლის (ნამანევის ადმინისტრაციულ ერთეულში) ერთობლივი საქმიანობის შეფასებაში მაინც ქალბატონი დალი ფოფხაძის აზრი მივიჩნიეთ ობიექტურად, რადგან ისიც იშვიათობაა, რომ წინამორბედი (იგი წლების მანძილზე იყო ნამანევის ტერიტორიულ ერთეულში რწმუნებული) აქებდეს შემცვლელსაც და დეპუტატსაც. ამიტომაც შევეცადეთ მკითხველისათვის უფრო კარგად გაგვეცნო ქალბატონი მაია კაციტაძე, რომელიც ახლახან ანგარიშით წარსდგა სოფლების მიხედვით ამომრჩეველთა წინაშე: კითხვაზე თუ რა უთხარით ამომრჩეველს და რას შეპირდით, ასე გვიპასუხა: ბევრი ვერაფერიც ვერ ვთქვი, რადგან პრობლემები ყველა სოფელში ოდნავ განსხვავებით, მაგრამ მაინც ერთნაირია – გზა, წყალი, შუქი. ნიკორწმინდასა და კაჩაეთში სპეციალობიდან გამომდინარე ამომრჩევლებთან ფაქტიურად ყოველ დღე კონტაქტი მაქვს და შეიძლება ითქვას შედარებით უკეთესი მდგომარეობაა და სიტუაციაციასაც უფრო ვფლობ. ზედა შავრაში ე.წ. დვალების უბანში როგორც იქნა დაიდგა ავზი, რამოდენიმე მეტრი მილიც შეიცვალა და ველოდებით წყლის გაშვებას. ამომრჩეველთა სურვილით ნამანევში სკვერი გაკეთდა, რამაც აუცილებელი გახადა ტრანსფორმატორის გადატანა. საკითხი დაყენებულია და იმედია დადებითად გადაიჭრება. ხონჭიორში გაკეთდა მოსაცდელი და რაც მთავარია, რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით მოეწყო წყალგაყვანილობის სისტემა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებამ 547346 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება თხმორს. აქ უტრანსპორტობის მიზეზით ხშირად ვერ ავდივარ და ასე მგონია ვაშავებ, რასაც ძალიან განვიცდი. მიხარია, რომ სოფელში გარე განათება გაკეთდა. სასოფლო გზაზე გადმოსული ხეები, რომელიც აფერხებდა ტრანსპორტის გადაადგილებას, განსაკუთრებით სასწრაფო დახმარებისას, გაიკაფა, მაგრამ სერიოზული პრობლემაა.ე.წ. დოლაბასთან, საკითხი დაყენებულია ყველა დონეზე და ვფიქრობ, მალე მოგვარდება. კარგია რომ, ჯორჯ კობის(გრიგოლ კობახიძის) სახლ-მუზეუმი გაიხსნა, რაც სოფლის ცნობადობას გაზრდის. აქ კარგი ხალხი ცხოვრობს და იმსახურებენ გზის საკითხის დროულ მოგვარებას.

ძალზე მტკივნეული საკითხია ყველა სოფელში ძაბვის ავარიული ანძები, ელექტროგადამცემი ხაზების ბოძები. ამ მხრივ დიდი საშიშროებაა ნიკორწმინდის სკოლის ეზოში. იყვნენ შესაბამისი სამსახურიდან ამოსულები. სიტუაციაში გაერკვნენ, მაგრამ ვნახოთ როგორ შეასრულებენ პირობას.

ხასიათიდან გამომდინარე ვცდილობ ყველასთან მივიდე, გავერკვე მათ პრობლემებში. ბევრს ვაკეთებ თუ ცოტას, მივდივარ, ვცდილობ. თუ ვერ ვაკეთებ ვნერვიულობ. არავის ვეჯიბრები, თავს არ ვაწონებ. ოღონდ საქმე გაკეთდეს და პრეტენზია თავის გამოჩენაზე ნადვილად არ მაქვს. დაპირებით კი იმას ვპირდები ჩემს ამომრჩევლებს, რომ გულითაც და საქმის კეთების სურვილითაც მათთან ვარ. როგორც შევძლებ. ცხადია, მერის წარმომადგენელთან ერთად. ოღონდ მშვიდობა იყოს და ყველაფერი გაკეთდება. ვფიქრობ, ექვსივე სოფლის ამომრჩევლის სურვილიც ასეთია.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, 44.02 მაჟორიტარული ოლქის მაჟორიტარი დეპუტატი **დავით გოგსაძე** ხოტევის, წკადისისა და ოლქის სხვა სოფლების მოსახლეობას, იგივე ამომრჩეველს შეხვდა და 2023 წელს განეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა.

მას თანაკუთხელებთან სასაუბრო ნამდვილად ჰქონდა, რადგან მიმდინარე წელი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა აქაურთათვის სხვადასხვა ფონდებიდან დაფინანსებული პროექტების სიმრავლით. მათგან აღსანიშნავია სოფელ ხოტევში, „ნასხვეტას წყაროს“ მიმდებარედ, პანორამული გადასახედისა და აუზის კეთილმოწყობა და სოფელ ველევში 9 კილომეტრიანი ასფალტო-ბეტონის საფარიანი შიდა სასოფლო გზის მოწყობა.

დეპუტატმა მოსახლეობას ასევე, მიანოდა ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, გაეცნო მათ პრობლემებსა და დაპირდა დახმარებას მათ მოგვარებაში.

ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, 44/07 მაჟორიტარული ოლქის მაჟორიტარი დეპუტატი – **სიმონ ჭელიძე**, აბანოეთისა და ბუგეულის მოსახლეობას შეხვდა და 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინა.

მათ მიაწოდა ინფორმაცია დაგეგმილი და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. აღინიშნა რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფელ ბუგეულში მოხდა წყალსადენი ქსელის რეაბილიტაცია, გორისუბანში, აბანოეთსა და ბარეულში მოეწყო გარე განათებები.

მიმდინარე წელს დაპროექტდა აგრეთვე შიდა სასოფლო გზა გაღმა ბარეულში, მიმდინარეობს წყალსადენი ქსელის რეაბილიტაცია.

უახლოეს მომავალში დაიწყება აბანოეთში ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობა.

დეპუტატი გაეცნო პრობლემებს და ამომრჩეველს მათ მოგვარებაში დახმარებას დაპირდა.

სოფელ აბანოეთის მოსახლეობამ სიმონ ჭელიძეს პატარიძეების უბანში გაბიონის, სანიაღვრე არხისა და ცხაურების მოწყობის საკითხში, შესაბამის სამსახურებთან შუამდგომლობა თხოვა.

ანგარიში ჩაბარებული და შეფასებული

დასასრული

ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა ხოტევი-ველევის დამაკავშრებელი 8.4 კილომეტრი სიგრძის გზის რაბილიტაცია (ღირებულებით 6 345 000 ლარი) და ფინანსდება მუნიციპალური განვითარების ფონდიდან. ასევე ჟოშხა-გენდუშის 5 კმ-მდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ღირებულებით 3 300 000 ლარი, რომელსაც საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში განახლდა ქ. ამბროლაურის ცენტრში მდებარე ორი სკვერი, ასევე გარემონტდა აღმაშენებლისა და კოსტავას ქუჩებზე მდებარე შენობების გარე ფასადები. აღნიშნულ სამუშაოებს ჯამში მოხმარდა 1.800 000 ლარზე მეტი.

ქ. ამბროლაურში კოსტავას ქუჩის მიმდებარედ, მდ. კრიხულას სანაპიროზე, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული როლის გაზრდის მიზნით დაგეგმილია მრავალფუნქციური ცენტრის აშენება. ასევე დასრულდა ქ. ამბროლაურში ამფითეატრის მშენებლობის პროექტირება.

სტიქიის სალიკვიდაციო და პრევენციული ღონისძიებებისათვის, მიმდინარე წელს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 000 000 ლარზე მეტი თანხა.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პერიოდში 1 567 000 ლარის ღირებულების 137 პროექტი განხორციელდა. პროგრამის ფარგლებში ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგდა გარე განათება, სპორტული ინფრასტრუქტურა, აშენდა ამბულატორიები, მოწესრიგდა საუბნო გზები და სასმელი წყლის სისტემები, მოეწყო საბავშვო სკვერები, სანიაღვრე არხები, ბეტონის საფარიანი გზა დაიგო 3 სოფელში.

მიმდინარე წელს პირველად გაიხსნა საგამოცდო ცენტრი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, რაც აბიტურიენტებს აძლევთ, როგორც დროის ისე ფინანსური რესურსის დაზოგვის შესაძლებლობას.

ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსების მიზნით 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 690 800 ლარი, მიმდინარე წელს კი დაფინანსება 761 000 ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის მერმა მადლობა გადაუხადა დამსწრე აუდიტორიას, ანგარიშის ობიექტური შეფასებისათვის, გვერდში დგომისა და მხარდაჭერისთვის. გამოთქვა დიდი იმედი იმისა, რომ თანამშრომლობით, ერთობლივი მონდომებით და მუხლჩაუხრელი შრომით მომავალშიც ბევრი პროექტი თუ პროგრამა განხორციელდება, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის განვითარებასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

შეხვედრა კომპანიის წარმომადგენლებთან

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ**, კომპანიების წარმომადგენლებთან, რომლებიც ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებენ, სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრას მერის პირველი მოადგილე **დავით გოგლიძე** და მერიის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა კომპანიების წარმომადგენლებისგან დეტალური ინფორმაციები მოისმინეს პროექტების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, სოფლების მიხედვით განიხილეს მიმდინარე სამუშაოები და გაეცვნენ ამ ეტაპისთვის არსებულ ვითარებას.

შეხვედრაზე აღნიშნა, რომ სამუშაოების მიმდინარეობისას მაქსიმალურად გაკონტროლდება ხარისხი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გაიმართა სლოვაკეთის რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლობასთან შეხვედრა.

შეხვედრაზე ისაუბრეს რეგიონში სლოვაკეთის მთავრობის (SlovakAid) მიერ დაფინანსებულ იმ პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს „კომპლექსური ტურისტული პროდუქტის შექმნის გზით მწვანე ტურიზმის პოპულარიზაციას ტვიშისა და ხვანჭკარის მიკროზონებში“.

პროექტის ფარგლებში ადგილობრივი (საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია და სლოვაკეთი-საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა) და საერთაშორისო პარტნიორების მიერ დღემდე განხორციელდა მთელი რიგი აქტივობები. მათ შორის ექსტრააქტივობის ფარგლებში, საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის მიერ, ტვიშისა და ხვანჭკარას მიკროზონებში კომპლექსური ტურისტული პროდუქტის წარდგენა მოხდა ბერლინის ტურისტულ გამოფენაზე.

სახელმიფო რწმუნებულმა მადლობა გადაუხადა საელჩოს წარმომადგენლებს თანამშრომლობისთვის, აღნიშნა, რომ შემდგომი ნაბიჯები მიმართული იქნება პროექტის მომდევნო აქტივობების კიდევ უფრო წარმატებით განხორციელებისკენ.

საანგარიშგებო ფორუმი

დასასრული

სრულად იქნა გათვალისწინებული 2024 წლის ბიუჯეტში, რომელიც ფორუმის მონაწილეებს დეტალურად გააცვნეს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციისა და საფინანსო სამსახურების ხელმძღვანელებმა **ირმა ფრუიძემ** და **ბეჟან კობახიძემ**.

ფორუმის მონაწილეებს მიესალმნენ განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDEC) აღმასრულებელი დირექტორი **ნათია ნამიჭეიშვილი**, ფონდის „აფხაზინტერკონტი“ (AIC) აღმასრულებელი დირექტორი **არჩილ ელბაქიძე,** პროექტის „დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში“ მენეჯერი **ნინო კაკუბავა** და აღნიშნეს, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობას მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებსა და პროგრამებში, ზრდის თანამშრომლობას თვითმმართველობასა და საზოგადოებას შორის.

სექციებისა და სამიზნე ჯგუფებთან მუშაობის სწორად წარმართვის ფასილიტატორებს გადაეცათ სერთიფიკატები. დასახლების ფორუმი ორგანიზებულ იყო პროექტის „მოქალაქეთა გაძლიერება ადგილობრივ მმართველობაში მდგრადი განვითარების მიზნით“ ფარგლებში. განხორციელდა განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით.

საინტერესო პროექტი – ჰუმანური საქართველო

სამხარეო ადმინისტრაციაში რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან – **ზვიად მხეიძესთან**, მერის მოადგილე- **თამარ ქევანაშვილთან** და განათლების სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებელ, აკადემიკოს – **შალვა ამონაშვილს**, ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტ – **პაატა ამონაშვილსა** და ჰუმანური პედაგოგიკის საქართველოს მოძრაობის ხელმძღვანელ – **თამარ სხვიტარიძეს** შეხვდა.

შალვა ამონაშვილმა პროექტი „ჰუმანური საქართველო“ გააცნო და მის მიზნებზე ისაუბრა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ღვაწლმოსილ პედაგოგს სტუმრობისთვის, საჭირო ინიციატივებისთვის, განათლების სფეროს განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის მადლობა გადაუხადეს და შეხვედრის ბოლოს სიმბოლური საჩუქარი გადასცეს.

ამბროლაურის კულტურის ცენტრში გამართულ საჯარო შეხვედრაზე შალვა ამონაშვილმა „ჰუმანური პედაგოგიკის“ ძირითად პრინციპებსა და მეთოდებზე ისაუბრა.

შეხვედრას საგანმანათლებლო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები, სასულიერო პირები, მშობლები და სხვა დაინტერესებული მსმენელი ესწრებოდა.

მენტორმა ისაუბრა ჰუმანური პედაგოგიკის მიდგომებზე, საგანმანათლებლო სფეროს გამოწვევებსა და პოზიტიურ მშობლობაზე, პედაგოგის როლსა და მიდგომებზე სასკოლო ცხოვრებასთან მიმართებაში. გასცა ბევრი რჩევა და რეკომენდაცია, უპასუხა დასმულ კითხვებს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, „საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტზე“ (2024-2027) მუშაობის ფარგლებში, შეხვედრა გაიმართა, რომელსაც სამუშაო ჯგუფის კონსულტანტი – შოთა მურღულია უძღვებოდა.

შეხვედრაზე იმსჯელეს დოკუმენტის ძირითად პრიორიტეტებზე, რაც მოიცავს ინფრასტრუქტურას, გარემოს დაცვასა და სოფლის მეურნეობას, განათლებას, კულტურას, ტურიზმს და სპორტს, ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას და სერვისების განვითარებას.

შეხვედრას ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე – **დავით გოგლიძე**, მერიის სტრუქტურული ერთეულების, საკრებულოს და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, მომზადდება საშუალო ვადიანი (2024-2027 წლები) განვითარების დოკუმენტები და შერჩეულ მუნიციპალიტეტებს მიეცემათ შესაძლებლობა, ექსპერტების ჩართულობით შეიმუშაონ ან განაახლონ საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი.

მასწავლებელთა დღე

იუნესკოს გადაწყვეტილებით 1994 წლიდან ყოველწლიურად მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში 5 ოქტომბერს აღინიშნება მასწავლებლის საერთაშორისო დღე.

ტრადიციულად ადგილობრივმა თვითმმართველობამ მასწავლებლის საერთაშორისო დღე მიულოცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 22 საჯარო სკოლის 270 პედაგოგს და უსურვათ წარმატებები ამ მეტად საპატიო საქმიანობაში. ეს დღე განსაკუთრებულად ამაღელვებელი აღმოჩნდა ღვაწლმოსილი, დამსახურებული მასწავლებლების იზო ჯოხაძისა და ნელი წერეთლისათვის. მათ მერის მოადგილე თამარ ქევანაშვილი, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად ეწვია, მიულოცათ მასწავლებლის საერთაშორისო დღე და ამბროლაურის საპატიო მოქალაქეებს სიმბოლური საჩუქრები გადასცათ.

* * *

27 ოქტომბერს მასწავლებლის ეროვნული დღე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ**, მოადგილეებთან, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან და საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან **დავით ხუციშვილთან** ერთად ღვაწლმოსილ, მრავალი თაობის აღმზრდელ რამდენიმე პედაგოგს პირადად მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

17 ოქტომბერს სახელმწიფო რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სავანეთის რეგიონში **პაპუნა მარგველიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე**, საკრებულოს თავმჯდომარე – **ასლან საგანელიძე** და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ამბროლაურში მცხოვრებ ვეტერანებს ეწვივნენ. მათ მიულოცეს „ვეტერანის დღე“. მადლობა გადაუხადეს ქვეყნის თავისუფლებისათვის, მსოფლიოს უსაფრთხოებისათვის თადადებული ბრძოლისათვის და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

აღსანიშნავია, რომ ვეტერანის დღის დაწესების საფუძველი გახდა 1995 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიიღებული კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ“ და 2014 წლიდან აღინიშნება.

ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულები

29 ოქტომბერს გაიმართა ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსის „მწიგნობარი 2023“ დასკვნითი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი ზვიად მხეიძე, მერის მოადგილე თამარ ქევანაშვილი და სხვადასხვა სფეროდან მოწვეული სტუმრები.

გამარჯვებულები თერთმეტ ნომინაციაში გამოვლინდნენ, რომელსაც გადაეცათ სიგელები და სხვადასხვა სახის საჩუქრები.

გაიცანით გამარჯვებულები ნომინაციების მიხედვით:

ისტორიული რომანი:
I ადგილი – შოთა ჭელიძე
II ადგილი – მარიამ ვახტანგაძე

ლიტერატურული შედევრები
I ადგილი – ნინო ლაიშვილი
II ადგილი – მარიამ ვახტანგაძე

XIX–XX სს-ის მწერლობა
I ადგილი – თამარ სურგულაძე
II ადგილი – მარიამ ვახტანგაძე

თანამედროვე ლიტერატურა
I ადგილი – მარიამ გორდეზიანი
II ადგილი – ხატია ფრუიძე

პუბლიცისტიკა და ესე
I ადგილი – თამარ მუსერიძე
II ადგილი – ელენე გველეთიანი

საბავშვო მწერლობა
I ადგილი – ბარბარე ქეიმოკლიძე
II ადგილი – ქრისტინე ჯანელიძე

ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანები
I ადგილი –კესო მეტონიძე
II ადგილი – თამარ ჭელიძე

დრამატურგია
I ადგილი – მარიამ მახალდიანი
II ადგილი – ნოდარ ბუაძე

„პოეზია უპირველეს ყოვლისა“
I ადგილი – ნინო ლაიშვილი
II ადგილი – ქეთევან კაციტაძე

თავისუფალი თემა
I ადგილი – ელენე გველეთიანი
II ადგილი – ლევან რატიანი

„ვეფხისტყაოსანი“
I ადგილი – მარიამ კერესელიძე
II ადგილი – ლუკა ქვათაძე

ჟიურის სიმპათია გახდა ლიზი ალავიძე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში ლიხეთის, ურავის, ჭელიაღელისა და ნიკორწმინდის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს საჩუქრად სათამაშოები, საკანცელარიო ნივთები და სხვადასხვა სახის აქსესუარები გადაეცათ.

საჩუქრები ბავშვებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ**, საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძესთან**, მოადგილეებთან და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად გადასცა.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ასევე ადგილზე გაეცნენ ბაღებში არსებულ მდგომარეობას, მათ შორის ზამთრის სეზონისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს და მოისმინეს სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში არსებული სხვადასხვა საჭიროებები.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის თანამშრომლობით, ამბროლაურში „პროფესიული შინ მოვლის პროგრამა“ ხორციელდება.

პროგრამის ფარგლებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **თამარ ქევანაშვილი** და მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი **მარიკა დვალი**, მონიტორინგის ფარგლებში რამდენიმე ბენეფიციართან იმყოფებოდნენ და პროგრამის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნენ.

პროგრამა ითვალისწინებს, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მათ სამედიცინო, საბაზისო და სოციალურ მოვლას ადგილზე, ბენეფიციარებს ემსახურება მაღალკვალიფიციური მულტიდისციპლინირებული გუნდი (ექიმი, ექთანი, ექთნის ასისტენტი, სოციალური მუშაკი, ოჯახის დამხმარე, ტექნიკური ასისტენტი).

ამ ეტაპზე პროგრამის მომსახურებით 120 ბენეფიციარი სარგებლობს.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ორგანიზებით, რაჭაში ადგილობრივ ბიზნესთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახლმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე – **ქრისტინა კობახიძე**, მხარეში შემავალ მუნიციპალიტეტების მერებთან, საკრებულოს თავმჯდომარეებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორმა – **ნინო ველთაურმა** შეხვედრის მონაწილეებს გააცნო მიმდინარე პროექტები და ისაუბრა თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებზე.

დისკუსიის მიმდინარეობისას, მონაწილეებმა იმსჯელეს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც სოციალურად დაუცველი პირების ღია შრომის ბაზარზე გააქტიურებისთვისაა საჭირო.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორმა ასევე ისაუბრა რაჭის ახლადგახსნილ სერვის-ცენტრზე, სადაც მოქალაქეებს შეეძლებათ სააგენტოს სერვისებსა და პროგრამებზე სრულყოფილი მომსახურების მიღება.

აზროვნების დაუღლელი ფრთები

ასე უწოდა წიგნს აიბეკმა, ხოლო ფრენსის ბეკონმა იგი იმ ხომალდებს შეადარა, რომელებიც მოგზაურობენ დროის ტალღებზე და თავიანთი ძვირფასი ტვირთი ფრთხილად მიაქვთ თაობიდან თაობამდე. წიგნიერი საზოგადოება, იგივე მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მცდელობის მიუხედავად, დაბეჭდილი მაინც ვერ შესცვალა ელექტრონულმა. საბედნიეროდ ქვეყანაში ახალგაზრდობა მიუბრუნდა წიგნს, რაშიც უდაოდ დიდია პროფესიის ერთგული ხალხის – ბიბლიოთეკარების დამსახურება. ასეა ჩვენთანაც – ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სადაც ფუნქციონირებს 28 სასოფლო და საბავშვო ბიბლიოთეკა, რომელთა საქმიანობის გეზის მიმცემი მთავარი ბიბლიოთეკაა ტიპიური შენობით, გამოცდილი კადრებით, მდიდარი კატალოგით. ცხადია, პრობლემებითაც, რაზედაც სასაუბროდაც საჯარო და საბავშვო ბიბლიოთეკების თანამშრომლებს ეწვივნენ მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ქევანაშვილი, განათლების კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი მიხეილ დალაქიშვილი.

ბიბლიოთეკების სამუშაო პროცესების, არსებული პროგრამების და დაგეგმილი ღონისძიებების გაცნობის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იმ აქტივობებზე, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა პროექტში ახალგაზრდების მეტად ჩართულობას. მოისმინეს სამსახურების საჭიროებები და მათ მხარდაჭერაზე გამოთქვეს მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში მზადყოფნა.

ითქვა ისიც, რომ მსგავსი სამუშაო შეხვედრები პერიოდულად გაგრძელდება, რაც ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკების უფრო ეფექტურ მუშაობას იმ კონკრეტული მიზნის მიღწევაში რასაც ჰქვია ბიბლიოთეკებში, როგორც მათ უწოდებენ ცოდნის ტაძარში, წიგნისადმი პატივისცემით განწყობილი მკითხველთა სიმრავლეს.

წიგნი ხომ საუკეთესო მრჩეველი და სულიერი ანდერძია ერთი თაობის მეორისათვის.

ძლიერი ფერმერი – ძლიერი სოფელი

ვაგრძელებთ აღნიშნული რუბრიკით სოფლის განვითარების სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული სამსახურის მოწვდილ ინფორმაციებზე დაყრდნობით მკითხველზე იმ ფერმერების გაცნობას, რომლებმაც სამსახურის თანამშრომელთა კონსულტაციებითა და ხელშეწყობით, სოფლის მეურნეობის მიმართულებით სხვადასხვა პროექტებსა თუ პროგრამებში ჩართულობით, გრანტების მოპოვებით და რაც მთავარია, შრომით მიაღწიეს სერიოზულ წარმატებებს. რამაც უზრუნველყო როგორც ოჯახების ფინანსურად მდგრადობა, ისე დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

რუბრიკით „ძლიერი ფერმერი – ძლიერი სოფელი“ შემოთავაზებული სერიებით მკითხველი უკვე გაეცნო ამბროლაურის მუნიციპალიტეტიდან ექვს ფერმერს. ნაწილი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი სახეებია, ზოგიც სრულიად ახალი. წარმატებები მათ და სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონული სამსახურის თანამშრომლებსაც, რომლებიც გამოცდილ თუ დამწყებ ფერმერებს აწვდიან საჭირო და საინტერესო რჩევებს თეორიულ თუ სამეცნიერო გამოცდილებებზე. ასევე კლიმატურ-ნიადაგურ თავისებურებებზე და მათთან რომ იმყოფებიან სისტემატურ კონტაქტში.

ამჯერად კიდევ ხუთ ფერმერს გაეცნობა მკითხველი, მათგან სამი მეღვინე-მევენახეა, ორიც მრავალწლიანი კულტურებიდან განსხვავებული სიახლითა და რაჭული სამზარეულოს საოცრებებით.

პატიოსანი კაცის სახელი მაინც სხვაა

როგორადაც არ უნდა შეიცვალოს სახელმწიფოებრივი ფორმაცია, ვითარება თუ სიტუაციაა ქვეყნიერებაზე დოვლათს ქმნის შრომა, რომელსაც უპირველესად უნდა ახდეს სინდისი, უამრავი ქვეგანშტოებებით, რასაც მხოლოდ კეთილსინდისიერი ადამიანების გონიერება სწვდება და მადლობა უფალს, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ შემორჩენილან მშრომელი და პატიოსანი ოჯახები. სხვისი არ ვიცი და მე ასეთად მიმაჩნია უამრავ ამბროლაურელთაგან პეტრე კერესელიძის მრავალსულიანი ოჯახი. აქ შრომას ოდითგან სცემდნენ პატივს და შესაბამისად ხვავრიელი იყო ოჯახიც. ბედნიერებაა, როცა მამა-პაპის ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცემა და გრძელდება.

ზემოთ ვახსენეთ, მრავალსულიანითქო პეტრე კერესელიძემ, მრავალსულიან ოჯახში დაბადებულ-გაზრდილმა, კარგად იცის სწორად დაგეგმილი, ფუნქცია განაწილებული შრომით, როგორ იქმნება დოვლათი, რომელიც სტუმრის გამასპინძლების საშუალებასაც გაძლევს და სამოყვრო-სამეზობლოში ხელგაშლილად ცხოვრების უფლებასაც. რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახი ძლიერია, შეძლებულია. ე.ი. არც სტუმარი გაკლია. რომ არა შრომა ნამდვილად ვერ შეძლებდა ოჯახი ორჯერ დასახლებას. ყოველთვის ხიბლავდა მათი ეზოკარმიდამო სტუმარს თუ სამეზობლოს. სანიმუშოდ მოვლილი ვენახი, ყანა, ბაღ-ბოსტანი და ასეა ახლაც. ბედნიერებაა როცა შეხმატკბილებულ ოჯახს რძლის სახითაც ღირსეული წევრი შეემატება, თან 5 შვილის დედა. რომლის შვილები დღეს მენტალობა შეცვლილი ახალგაზრდებისაგან (რომლებსაც შრომა სათაკილოდ მიაჩნიათ) აშკარად განსხვავდებიან. კერძოდ: ნიჭიერებით, ეროვნული აზროვნებით, კუთხის სიყვარულით, შრომისა და უფროსების პატივისცემით.

დღეს, როცა წინაპართა ნაღვაწარზე ხელის ხლება წაშლა და გადაგდება მოვლენად იქცა, აქ პირიქითაა. ბატონი პეტრე უკვე ასაკშია. ტრადიცია შვილმა აპოლონმა გააგრძელა, შესაბამისად შვილიშვილებმაც. ახლა მონაგარი ასვენებს, თავს ევლება, უსმენენ მის რჩევებს და ისევ 2 საუკუნოვან ცაცხვის საწნახელში იწურება ყურძენი, რომელიც იკრიფება ერთ ჰექტარზე გაშენებულ ნაკვეთზე, სადაც ხარობს ალექსანდროული, მუჯურეთული, რაჭული თეთრა, მწვანე და ცოლიკაური.

ოჯახი ძირითადათ ტრადიციული ქვევრის ღვინოს აწარმოებდა, მაგრამ ახალგაზრდა თაობამ ბოთლებში ჩამოსხმაც დაიწყო და „კერესელიძეების მარანი“ ამ სახელწოდებით ნაწარმოები ღვინო უკვე არა მარტო ადგილობრივ ბაზარზე, არამედ ექსპორტზეც გაქვთ და დიდი მოწონებითაც სარგებლობს, რაშიც ხელს უწყობთ სოფლის მეურნეობის რეგიონულ სააგენტოსთან თანამშრომლობა, აგროფესტივალებში ხშირი მონაწილეობა და სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების შემოთავაზებულ პროგრამებში ჩართულობა.

დაძმა ნანუკა და დაჩი კერესელიძეებს ფრედერიკ ბრეკბრედერის შემოქმედებამ ახალი, განსხვავებული სერვისების კონცეფციაზე მუშაობის იდეა უკარნახათ. რეალობადაც აქციეს და გაზაფხულ-ზაფხულის ნაშრომ-ნაღვაწის შედეგის შეჯამების მეღვინეობის ხაზს „ბაბუაწვერა“ დაანათლეს.

მიუხედავად ცუდი კლიმატური პირობებისა ამ ფუტკარივით მოფუსფუსე ოჯახის წევრებისათვის მიმდინარე წლის შემოდგომაც ბარაქიანი აღმოჩნდა. საკუთარ მარანშიც დაიწურა ყურძენი და სახელმწიფოსაც მიეყიდა. 2023 წლის შემოდგომა ქორწილითაც დაგვირგვინდა. მათსავით მშრომელ ოჯახთან დამოყვრდნენ. მარიამმა გოგიტა გამყრელიძესთან ერთად ოჯახი შექმნა. ვულოცავთ მათ და მთელ ოჯახს. არ მოკლებოდეთ წარმატებები და ბედნიერი დღეები.

მეღვინე-მევენახე საპატიო პროფესია

ქარხანამ შ.პ.ს. „ალექსანდროული“ ფუნქციონირება 2000 წლიდან დაიწყო. მეწარმე დავით მაცაბერიძე ფლობს 56 ჰექტარ ვენახის ფართობს. აქედან რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ვენახი გაშენებული აქვს 31 ჰექტარზე, ხოლო კახეთში 25 ჰექტარზე. ქარხანა აწარმოებს 14 დასახელების ღვინოს: ალექსანდროული, ბარაკონი, ხვანჭკარა, თეთრა ნახევრად ტკბილი, თეთრა ნახევრად მშრალი, უსახელოური, საფერავი, წინანდალი, რქაწითელი, ალაზნისველი წითელი, ალაზნისველი თეთრი, ფიროსმანი თეთრი. წარმოებული პროდუქციის რაოდენობა შეადგენს 1500 ტონას. კომპანიას მიღებული აქვს ჯილდოები ქართული ღვინის ეროვნულ კონკურსში, სადაც გადაეცა დიპლომი მაღალი ხარისხის ღვინის წარმოებისათვის. პროდუქცია კომპანიას გააქვს ექსპორტზე: ევროპაში, ჩინეთში, იაპონიაში, კენიასა და ამერიკაში. რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზეც, ასევე პროდუქცია გადიოდა უკრაიანშიც. 2022 წლის მონაცემებით ნაშთი შეადგენს 170 ტონას. აქედან მეტი ნაწილი არის წინანდალის და საფერავის ღვინოები. კომპანიას დასაქმებული ჰყავს სულ 170 ადამიანი. აქედან 15 მუდმივად დასაქმებულია. 20 ადამიანი დროებით სამუშაოებზე აჰყავთ, ხოლო სეზონურად ასაქმებენ 150–160 ადამიანს. სახელმწიფო პროგრამა „შეღავათიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში 2014 წლიდან 2020 ჩათვლით კომპანიამ აიღო სესხი ძირითადი საშუალებებისათვის, ღვინის ქარხნის რეკონსტრუქციისა და სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად, საწარმო დანადგარების შესაძენად. ასევე ყურძნის შესყიდვა ღვინის წარმოებისათვის.

მიმდინარე წლის რთველიც ბარაქიანი აღმოჩნდა საწარმოსათვის. ბუგეულში საკუთარი ვენახებიდან მიღებული და გადამუშავებულია 40 ტონაზე მეტი ყურძენი.

„კესანე“ - ან დამივიწყო

ვერც დაივიწყებ თუ ხოტევში ერთხელ მაინც მოხვდები და დააგემოვნებ ორი თაობის მიერ შექმნილ ნებისმიერ ნახელავს, მაგრამ მაინც გამორჩეულ საფირმო ბლუდას „რაჭული ლობიანი ლორით და ჯონჯოლით“.

„კესანეს“ ბიოგრაფია ასეთია: **ჯამბული ყრუაშვილის** ოჯახის წევრებისათვის მშობლიური სოფელი ყველაფერია და ვერ წარმოედგინათ სახლის დაკეტვა უფროსი დიასახლისის გარდაცვალების შემდეგ. მეუღლესთან ერთად ადვილად შეელია დედაქალაქის კომფორტს და გადაწყვიტეს სოფლად დამკვიდრება. შვილები არ შეწინააღმდეგებიან მათ სურვილს, მაგრამ ყოველთვის საქმიანი და მოძრავი, სამსახურის მქონე მშობლები როგორ შეეგუებოდნენ უმუშევრობას, ეს ნამდვილად აფიქრებდათ. ოჯახურ თათბირზე დაისვა კითხვები: რით დაიწყებთ? – მცირე ბიზნესით, რადგან ადგილმდებარეობა, საუცხოო ლანდშაფტი იძლევა ამის საშუალებას. სახსრები საიდან? – სწორი ბიზნესგეგმით და დონორის მოძიებით.

სახლში, ეზო-კარმიდამოში ფუსფუსთან ერთად ფინანსური შემოსავლის გაჩენის იდეა მონაგარისათვის მისაღები აღმოჩნდა. მიმართეს სოფლის განვითარების სააგენტოს ადგილობრივ სამსახურს, მიიღეს კონსულტაცია, მხარდაჭერა და ფონდის „აფხაზინტერკონტი“ მეშვეობით შეძენილ იქნა ის დანადგარები, რაც აუცილებელი იყო დასაწყისისათვის. დანარჩენი ფიზიკური შრომითაა შექმნილი.

შედეგი? მოულოდნელიც კი აღმოჩნდა. „კესანეს“ მთავარი დიასახლისის – ლალი მიქაძის გემოვნებით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით დამზადებული ნახელავი... და უამრავი ვიზიტორი. შესაბამისად, რაღაც რამდენიმე თვეში სოფელში გაჩენილი სამუშაო ადგილები და ... შთაგონებული ახალი იდეები.

„კესანე“ უბრალოდ გაგაცანით მკითხველო, თორემ რეკლამად აქ ერთხელ მოხვედრილი ადამიანის აზრიც კმარა.

P.S. რატომ „კესანე“? იმიტომ, რომ მათ ეზოში ყოველთვის უამრავი „კესანე“ ყვაოდა, რომელიც ძალიან უყვარდა ქალბატონ ეთერი არჩვაძეს. ესეც რძალ-დედამთილის ურთიერობისა და მისი ხსოვნის პატივისცემის საოცარი ნიმუში.

საფირმო ბლუდას „რაჭული ლობიანი ლორითა და ჯონჯოლით“ ავტორი და „კესანეს“ დამფუძნებელიც გაიცანით შვილი – გვანცა ყრუაშვილი.

მიზანი მაღალი ხარისხის ღვინო

მეღვინეობა „ღვინუკა“ (მეწარმე ზუკა მაისაშვილი) შეიქმნა 2018 წელს და დააარსების დღიდან მისი მიზანი იყო ეწარმოებინა რაჭული ვაზის ჯიშებისაგან მაღალი ხარისხის მშრალი ღვინოები, დღეისათვის კომპანია აწარმოებს 4 სახეობის ღვინოს: რაჭული თეთრა, მუჯურეთული, ცოლიკაური და ძველშავი. პროდუქციის რეალიზება ხდება როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

ა(ა) იპ სოფლის განვითარების სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონული სამსახურის ჩართულობით და კონსულტაციებით კომპანიამ მოიპოვა USAID-ის დაფინანსება პროექტ „გრეტას“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც ფინანსდება ევროკავშირის, ავსტრიის და შვედეთის მთავრობების მიერ, ასევე შვეიცარიის განვითარების სააგენტოს და ფონდ „აფხაზინტერკონტის“ მიერ. კომპანიამ 2020 წლიდან დაიწყო რეგიონში ოფიციალურად პირველი ბიო სერტიფიცირების პროცესი.

ზრომასთან ერთად ალღოც საჭიროა

იყო პერიოდი, როცა ამბროლაურის რაიონში თითოეულ დასახლებას, ბუნებრივ საზღვრებსა თუ ბიჯებში, ანგარიში ეწეოდა სოფლების დამახასიათებელი მეურნეობისა და მრავალნაკადი სამეურნეო კულტურების განვითარებას.

მთის ზონის სოფლებში სოფლის მეურნეობის დარგებიდან ძირითადი იყო მეცხოველეობა და მეხილეობა. თუმცა მათთვის უცხო არ იყო მარცვლეული და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები (ბარის ზონაში ვენახებსაც ფლობდნენ). ასეა დღესაც, მაგრამ შრომასთან ერთდ საჭიროა წინაპართა პრაქტიკულ გამოცდილებებზე დაყრდნობით ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისება, დანერგვა და ახალი კულტურების შემოტანაც.

ფერმერული ალღოთი სწორედ ეს უკანასკნელი აირჩია ნიკორწმინდელმა გია დვალმა. თესლოვან კურკოვნებისგან განსხვავებით მეხილეობიდან უპირატესობა კენკროვანს მიანიჭა და გადაწყვიტა ჟოლოსა და უეკლო მაყვლის გაშენება.

სოფლის მეურნეობის სააგენტოს რაჭა-ლეჩუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონულ სამსახურთან თანამშრომლობით მიღებული კონსულტაციებით, რჩევითა და ხელშეწყობით ჩაერთო გაეროს განვითარების პროგრამაში „სოფლად მცხოვრები ფერმერების შემოსავლების გაზრდა და მათი ცხოვრების დონის ამაღლება“ (UNPD). პროგრამა შვეიცარიის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა ფონდმა“ აფხაზინტერკონტმა“. პროექტის ფარგლებში შერჩეულ იქნა და 500 $მ^2$-ზე მოეწყო კენკროვანი კულტურების ნარგაობათა სადემონსტრაციო ნაკვეთი. იმდენად კარგად შეეგუა ჟოლო და უეკლო მაყვალი (ცხადია დიდი შრომის შედეგად) თავისი მოთხოვნებით ადგილობრივ კლიმატს, ნიადაგს და ტოპოგრაფიას, რომ ფერმერმა დამატებით 1000 $მ^2$ ფართობიც მიამატა და 2022 წელს პირველი მოსავალიც მიიღო – 550 კილოგრამი.

ბატონ გიას 40 ფუტკრის ოჯახიც ჰყავს და ყოველწლიურად აწარმოებს 1200 კილოგრამზე მეტ თაფლს. ზოგიერთისათვის თითქოს ყოველდღიური რუტინული შრომაა, მაგრამ ნიკორწმინდელი ფერმერი სერთიფიკატების მფლობელიცაა, ფესტივალ-ტრენინგები მისთვის უცხო არაა და თავისი ნაშრომ-ნაღვაწარი პროდუქტების რეალიზაცია ჯერჯერობით ადგილობრივ ბაზარზე ნამდვილად არ უჭირს. მოთხოვნა მზარდია და ამიტომ ფიქრობს ISO-ს სტანდარტის შესაბამისი ლიცენზიის მოპოვებას და პროდუქტების საზღვარგარეთ გატანაზეც. რასაც გვჯერა, მიაღწევს კიდეც.

წარმატებული პრემიერა

ამბროლაურის კულტურის სახლის სცენაზე სპექტაკლის **„ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“** პრემიერა გაიმართა (რეჟისორი გელა ისიანი).

სპექტაკლის პრემიერას ესწრებოდნენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე – **ქრისტინა კობახიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე**, მერი **ზვიად მხეიძე**, მერის პირველი მოადგილე **დავით გოგლიძე** და მოადგილე **თამარ ქევანაშვილი**.

სპექტაკლის მონაწილეებმა ლილიანა მხეიძემ, ლადო გოგოლაძემ, გელა ისიანმა, ივანე ცაგურიშვილმა, ელისო გელოვნიშვილმა, ქეთი ფოფხაძემ და დათო დაუშვილმა როლების ოსტატური შესრულებით მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

მაყურებლით სავსე დარბაზი მეტყველებდა იმაზე, რომ სპექტაკლის პრემიერა წარმატებით შედგა.

* * *

მაყურებელის ოვაციები ამბროლაურის კულტურის ცენტრის თეატრალური დასის მსახიობებს არც თბილისში რუსთაველის თეატრში მოკლებიათ. დედაქალაქის მაყურებელის წინაშე ამჯერად სპექტაკლით **„ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“** წარდგნენ და წარმატებითაც.

აღსანიშნავია, რომ ორივე სპექტაკლი საქველმოქმედო იყო და გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა სრულად მოხმარდება შოვის სტიქიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს.

ჩვენი საამაყო ბიჭები



კუდო

ლიეტუვაში გამართულ კუდოს ევროპის ჩემპიონატზე (U19, კატეგორია-270) ამბროლაურის სასპორტო სკოლის კარატეს გუნდის წევრმა **ვასილ დვალაძემ** ფინალში მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვებით ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მეორედ მოიპოვა და სპორტის ამ სახეობის გულშემატკივარს ბედნიერების და სიამაყის წუთები განაცდევინა. ვულოცავთ ვასილს და მასთან ერთად მის მწვრთნელს **დავით დუშუაშვილს** მორიგ გამარჯვებას. ვუსურვებთ წარმატებებს ჩვენი კუთხისა და ქვეყნის საამაყოდ!

ფეხბურთი

ქ. ამბროლაურში – აგრანო ვაჩაძის სახელობის სტადიონზე თბილისის დინამოს საფეხბურთო სკოლის ინიციატივით ჩატარდა დინამოს ფესტივალი 7x7-ზე ფეხბურთში 2011-2012 წლებში დაბადებულ ბავშვებს შორის.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს: ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ტყიბულის, თერჯოლის და ხონის საფეხბურთო სკოლებმა.

I ადგილი დაიკავა ამბროლაურის საფეხბურთო კლუბმა.

ამავე დღეს წარმატებული აღმოჩნდა ქალთა საფეხბურთო კლუბ „რაჭა 2020“-ის გამარჯვება ახალგორთან. ბოლო ტურის წინ ქალთა საფეხბურთო კლუბი აგრძელებს ბრძოლას უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად, რაც ისტორიული მოვლენა იქნება ჩვენი რეგიონისთვის.

ფესტივალს რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული პაპუნა მარგველიძე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი ზვიად მხეიძე და რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბექა ოშხერელი დინამოს აკადემიის ხელმძღვანელებთან ერთად ესწრებოდნენ. მონაწილე გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით, ასევე ფასიანი საჩუქრებით.

ჭიდაობა

ამბროლაურელი სპორტსმენები, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, **ვლადიმერ გამყრელიძე** (79 კგ) და **გიორგი ელბაქიძე** (70 კგ) 23 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ!



„ – გამარჯობა!.. მომავალ შეხვედრამდე“

ლექსო მეტრეველმა ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში გააკვირვა თავისი ფილოსოფიური აზროვნებით პედაგოგები და არა მარტო ისინი. როცა ამ 3 წლის წინ უკვე სტუდენტმა ახალი სასწავლო წლის დაწყება ორიგინალურად მიულოცა მშობლიურ სკოლის მასწავლებლებს, მერხის მეგობრებს და საზოგადოებას საკუთარი კრებულით **„თეთრი ოთახი“**.

კრებულში მხოლოდ ოთხი მოთხრობა იყო შესული, მაგრამ ვინც წაიკითხა და სწორად ამოიკითხა ავტორის მასში ჩადებული ნაფიქრ-ნაზრევი, ხმამაღლა თქვა: ეს ბიჭი კიდევ გაგვაკვირვებსო.

დიახ, გაგვაკვირვა და გაგვახარა მეორე კრებულით **„ლურჯი პლანეტის ქუჩაზე“**, რომლის რედაქტორმა გიორგი ხორბალაძემ წიგნიერ საზოგადოებას ამცნო, რომ „...ლექსო ჩვეულებრივი ბიჭი არ არის. იგი ჭეშმარიტად არჩვეულებრივი ახალგაზრდაა, რომელიც აზროვნების დიაპაზონით საკუთარ ასაკს უსწრებს უზარმაზარი მანძილით.“

საზოგადო პრობლემაზე მოფიქრალი ბიჭის ამჯერად 300 გვერდიან წიგნში შესული 15 მოთხრობა მოწოდებაა სიკეთეზე, სიყვარულზე, ჰუმანურობაზე და იმ გამოწვევებზე, რომლებიც 21-ე საუკუნემ დასაწყისშივე შესთავაზა ახალგაზრდობას, რომელთგან ბევრს სწორი გზის ჩვენების ნაცვლად თავი დააკარგვინა და ბურუსში გახვია.

ლექსო გამონაკლისია რწმენით, განცდებით, აზროვნებით. „კოცონში ჩაფერფლილი სიტყვებით“, „გთხოვ, იყოს ხვალინდელიც“, წარწერა ოკეანის ტალღებზე,“ „საოჯახო ფოტო ალბომი“ ...არა, ჩამოთვლა რა საჭიროა.

პატივცემულო მკითხველო! წიგნი ყველამ უნდა წაიკითხოთ. ის ხომ ნებისმიერი თაობისთვისაა განკუთვნილი რადგან უკვე სერიოზული განაცხადია გაკეთებული გამორჩეულ მწერლობაზე.

ამიტომ ამ ჭეშმარიტად არაჩვეულებრივ ბიჭს ვულოცავთ და მისივე ერთერთი მოთხრობიდან ნასესხები სიტყვებით ვეუბნებით „– გამარჯობა!.. მომავალ შეხვედრამდე“.

დ. დეისაძე

მადლობა ბატონ თამაზ დაუშვილს

არასოდეს დაგვავიწყდება 31 ოქტომბერი, ეს დღე ჩვენი სკოლისათვის უჩვეულო იყო იმიტომ, რომ ამბროლაურის კულტურის ცენტრის დირექტორმა ბატონმა თამაზ დაუშვილმა მიგვიწვია სპექტაკლის პრემიერაზე. ბევრჯერ გაგვჩენია სურვილი სპექტაკლის ნახვის, მაგრამ ვერ ვიგებდით, როდის ტარდებოდა, ამის შესახებ გულისტკივილით ვაუწყეთ მას გასულ წელს, როცა ჩვენი სკოლის ეზოში არსებული სიძველეთა ნაშთის მოსანახულებლად ქეთი ბერაძესთან ერთად გვსტუმრობდა. ბატონი თამაზი მაშინ დაგვპირდა: როცა ახალ სპექტაკლს დადგამს ჩვენი თეატრი, აუცილებლად მოგიწვევთო. მან დანაპირები შესრულა და რაფიელ ერისთავის ნაწარმოების მიხედვით – „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ დადგმული შესანიშნავი სპექტაკლის ნახვის საშუალება მოგვეცა, რისთვისაც მადლობა მას. ბავშვებმა კი სპექტაკლის ნახვის სიამოვნებასთან ერთად ხელოვნების გაკვეთილზე თეორიულად ნასწავლი სინთეზური ხელოვნების შესახებ მიღებული ცოდნა განიმტკიცეს.

ბატონ თამაზს იმისთვისაც გვინდა ვუთხრათ მადლობა, რომ მოგვეცა 3 აგვისტოს შოვში დატრიალებული ტრაგედიის შედეგების სალიკვიდაციო საქველმოქმედო ღონისძიებაში ჩართვის საშუალება, ჩვენც ბევრს ვფიქრობდით, მაგრამ როგორ ჩავრთულიყავით, ამას ვერ მოვაბით თავი. ამ საღამომ ამის საშუალებაც მოგვცა. ჩვენმა სკოლამაც შეიტანა უმნიშვნელო წვლილი, რითაც გულმა მცირედ იგრძნო შვება, თორემ ტკივილი არასდროს განელდება.

იმ დღეს ცენტრალურ ბიბლიოთეკასაც ვეწვიეთ და საბავშვოსაც, გულთბილად შეგვხვდნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები, გაგვაცვნეს წიგნსაცავის ისტორია და დაგვათვალიერებინეს. ვნახეთ და მოგვეწონა ქეთი ბერაძისა და ანა ბათხაძის ნახატების გამოფენა. ასე რომ, მიუხედავად მოსწავლეთა სიმცირისა, სოფელ ველევის საჯარო სკოლა ცდილობს ფეხი აუწყოს სწავლების თანამედროვე სტანდარტებს.

ეკატერინე ჭიჭინაძე,
სოფელ ველევის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ

დაფუძნდა სარაგბო კლუბი „ამარანტები“

სასიამოვნო სიახლეა. რეგიონში ჩამოყალიბდა სარაგბო კლუბი, „ამარანტები“, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი დონის ლიცენზირებული მწვრთნელებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საწვრთნელი და სათამაშო ინფრასტრუქტურით.

მისი შექმნის მიზანია: რაგბის – სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის პოპულარიზაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და ეროვნული ნაკრებისთვის წევრების მომზადება.

რეგიონალური რაგბის კლუბის ფუნქციონირება ორგანიზაციული და სპორტული თვალსაზრისით დამყარებული იქნება მოწინავე საერთაშორისო გამოცდილებაზე, ამავე დროს კლუბი ხელს შეუწყობს წევრებს შორის ეროვნული ღირებულებების გავრცელებასა და განმტკიცებას.

დაინტერესების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით:

599 264 855 ლადო ვაწაძე (ამბროლაური)
599 043 636 ფარნა კიკვიძე (ონი)
577 657 271 ავთანდილ ამყოლაძე (ცაგერი)
555 398 989 გელა ფირცხალავა (ლენტეხი)

ამბროლაურის საბავშვო ბაღში საშემოდგომო ღონისძიება გაიმართა.

აღსაზრდელებმა, პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად, სხვადასხვა მუსიკალური ნომერი შეასრულეს და შემოდგომის ნობათით მორთულ ეზოში სანახაობრივად შთამბეჭდავი და სახალისო გარემო შექმნეს.

საშემოდგომო ღონისძიება პედაგოგებისა და მშობლების ჩართულობით მომზადდა და მასში ყველა ასაკობრივი ჯგუფის 110 აღსაზრდელი მონაწილეობდა.

რედაქტორი
დალი დარახველიძე

რედაქციის მისამართი:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის
სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაკური ყიფაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.